საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/52

ქ. ბათუმი 27 ოქტომბერი, 2014წ.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის და 25-ე მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 18 ნოემბრის # 01 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევნები შემდეგი ფაკულტეტებიდან და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 2 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან 2 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან 2 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
დ) ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან 2 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
ე) ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 1 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
ვ) განათლების ფაკულტეტიდან 1 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
ზ) ტურიზმის ფაკულტეტიდან 1 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
თ) იურიდიული ფაკულტეტიდან 1 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
ი) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 1 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
კ) ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტიდან, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტიდან და აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტიდან თითო-თითო წარმომადგენელი, სულ 25 წევრი- 16 პერსონალი, 9 სტუდენტი.

2. წარმომადგენლობით საბჭოში აკადემიური პერსონალის კვოტით ფაკულტეტებიდან შესაძლებელია არჩეული იქნეს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ პროფესორი (გარდა დოქტორანტისა), ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან - ამ ერთეულის ადმინისტრაციული ან სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი;
3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნები ბსუ-ს ფაკულტეტებიდან ჩატარდეს 2014 წლის 13 ნოემბერს (არჩევნები -კენჭისყრა იწყება 10 სათზე და მთავრდება 17 საათზე), ხოლო სამეცნიერო კვლევითი ერთეულებიდან - 2014 წლის 14 ნოემბერს (კენჭისყრა დაიწყება 15 საათზე და და მთავრდება 17 საათზე).
4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახი N3) 2014 წლის 29 ოქტომბრიდან – 2014 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე;
5. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
6. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებსა და ინსტიტუტის დირექტორებს დაევალოთ არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახების გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2014 წლის 07 ნოებრის ჩათვლით (ბსუ-ს წესდების 45-ე მუხლის შესაბამისად).
7. ბრძანება ჩაბარდეთ ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებსა და ინსტიტუტების დირექტორებს.
8. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**